კოლეჯი შპს ცხუმ ეგრისი

1. ზოგადი ინფორმაცია პროგრამის შესახებ

| |
|---|
| პროგრამის სახელწოდება:<br><br>კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა |
| პროგრამის სახე:<br><br>პროფესიული მომზადება<br><br>პროფესიული გადამზადება |
| ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე:<br><br>**ო 2 ო3 ო4 ო5** |
| პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: **9** კვირა |
| კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: 16 სთ |
| მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში:<br><br>მინიმალური :**10** მაქსიმალური: **15** |
| პროგრამაზე დაშვების წინაპირობები: საბაზო განათლება |
| პროგრამის მიზნები: |

| |
|---|
| პროგრამის მიზანია მსმენელთათვის დასაქმებისათვის საჭირო ისეთი უნარების განვითარება, რომელთა გამოყენებით შეძლებენ კომპიუტერის პროგრამულ უზრუნველყოფას კერძო თუ საჯარო დაწესებულებებში ან საკუთარი მოხმარებებისთვის დარგის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებითა და უსაფრთხოების ნორმების დაცვით. |
| სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით)<br><br>**კურსდამთავრებულს შეუძლია:**<br><br>1. ოპერაციული სისტემის ინსტალაცია;<br><br>2. ოპერაციული სისტემის გამართვა;<br><br>3. გამოყენებითი პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალაცია;<br><br>4. ოპერაციული სისტემის უსაფრთხოების უზრუნველყოფა;<br><br>5. ქსელური მოწყობილობების დამისამართება. |
| **პროგრამის მოკლე აღწერა:**<br><br>პროგრამა განკუთვნილია იმ პირებისათვის, რომლებიც სულ მცირე ფლობენ საბაზო განათლებას და აქვთ სურვილი შეისწავლონ კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა დარგის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს 9 კვირის განმავლობაში და პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 144 საათს.<br><br>სასწავლო პროცესი მიმდინარეობს შპს ცხუმ-ეგრისის ბაზაზე. სწავლების განმავლობაში თეორიულ და პრაქტიკულ კომპონენტს მსმენელები გაივლიან კოლეჯის  AC სასწავლო გარემოში - კომპიუტერულ ლაბორატორიაში, სწავლებისას გამოიყენება Cisco-ს მასალები.<br><br>მსმენელთა განმავითარებელი შეფასებები ტარდება სწავლების პარალელურად, როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ კომპონენტში.<br><br>განმსაზღვრელი შეფასება ტარდება მე-9 კვირას. მსმენელთა შეფასება ხორციელდება პრაქტიკული დავალების შესრულებაზე დაკვირვებით. შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:<br><br>ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;<br><br>ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა |

პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, კურსდამთავრებული მიიღებს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სერტიფიკატს.